უცხო ენის ცოდნის განმარტება

B1 დონე

მარტივი სტანდარტული ენის გამოყენებისას და ნაცნობ თემებზე, სამუშაოს, სკოლის, დასვენებებისა და ა. შ. სფეროებიდან მთავარი საკითხების გაგების უნარი. მოგზაურობისას წარმოშობილ უმეტეს ენობრივ სიტუაციასთან გამკლავების უნარი. ნაცნობ თემებსა და პიროვნულ ინტერესებზე მარტივად და თანმიმდევრულად საუბრის უნარი. გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემის, ოცნებების, იმედებისა და მიზნების აღწერისა და გეგმებისა და შეხედულებების შესახებ მოკლე არგუმენტაციის ან ახსნის უნარი.

მოსმენა

- შეუძლია გაიგოს სტანდარტული მეტყველების ძირითადი აზრი მისთვის ნაცნობ თემებზე, რომლებიც ეხება სამუშაოს, დასვენებას, მოგზაურობას, და სხვა.
- შეუძლია გაიგოს გასაგები სტანდარტული ნელი მეტყველებით ტრანსლირებული რადიო და ტელეგადაცემების ძირითადი აზრი მიმდინარე მოვლენებზე, მისთვის ნაცნობ, პირადი ან პროფესიული ინტერესების სფეროსთან დაკავშირებულ თემატიკაზე.
- შეუძლია გაიგოს მარტივი ტექნიკური ინფორმაცია, როგორიცაა ყოფითი ტექნიკის ინსტრუქცია, შეუძლია მისდიოს და გაიგოს დეტალური მითითებები.
- მისდიოს ლექციის ძირითად საკითხებს მისთვის ნაცნობ თემებზე, იმ პირობით რომ ლექციის პრეზენტაცია არის გასაგებად სტრუქტურირებული და უშუალოდ ეხება საკითხს.

კითხვა

- შეუძლია მოიძიოს და გაიგოს რელევანტური ინფორმაცია ყოველდღიურ კორესპონდენციაში, როგორიცაა წერილები, ბროშურები და ოფიციალური დოკუმენტები.
- შეუძლია წაიკითხოს მისი ინტერესების სფეროსთან დაკავშირებული ფაქტობრივი ტექსტები გაგების საშუალო დონით.
- შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს მოვლენების აღწერა, გრძნობების და სურვილების აღწერა წერილებში საკმარისად კარგად იმისათვის, რომ აწარმოოს მიმოწერა.
- შეუძლია გრძელი ტექსტის სკანირება და სასურველი ინფორმაციის მოძიება და შეგროვება, ან სხვადასხვა ტექსტებიდან საჭირო ინფორმაციის მოგროვება სპეციფიკური დავალების შესასრულებლად.

საუბარი

- შეუძლია თავისუფლად და მოკლედ ჩამოაყალიბოს და დაასაბუთოს საკუთარი აზრები და შეხედულებები, თავი გაართვას ყოფით სიტუაციებს და წინასწარი მომზადების გარეშე ჩაერთოს საუბარში.
- შეუძლია მოთხრობის, წიგნის ან ფილმის ძირითადი მოკლე შინაარსის გადმოცემა და საკუთარი რეაქციების აღწერა.
- შეუძლია პირადი გამოცდილების, შეგრძნებების და რეაქციების დეტალური გადმოცემა.
- შეუძლია მოულოდნელი (არადაგეგმილი) შემთხვევების დეტალური გადმოცემა.

- შეუძლია აღწეროს ოცნებები, იმედები და სურვილები, აღწეროს რეალური ან წარმოსახვითი მოვლენები.

წერა

- შეუძლია ნაცნობ თემატიკაზე გაბმული ტექსტის დაწერა ცალკეული მოკლე მონაკვეთების სწორხაზოვანი თანმიმდევრული დალაგებით, როგორც მისი ინტერესების სფეროდან, ასევე დავალების სახით.
- შეუძლია დაწეროს საკუთარი გამოცდილების, შეგრძნებებისა და რეაქციების აღწერა მარტივი გაბმული ტექსტის სახით.
- შეუძლია დაწეროს რეალური ან წარმოსახვითი მოვლენის ან მოგზაურობის შესახებ.
- შეუძლია დაწეროს მოკლე მოთხრობა, მოკლე მარტივი ესსე მისი ინტერესების სფეროდან, ასევე შეუძლია შეაჯამოს მოხსენების სახით და წერილობით ჩამოაყალიბოს საკუთარი შეხედულება შეგროვილ ფაქტობრივ ინფორმაციაზე ყოფით ან სხვა საკითხებზე მისი ინტერესების სფეროდან გარკვეული დონის თავდაჯერებულობით.

B1 დონის შესაბამისი საერთაშორისო გამოცდები (სერტიფიკატების და ქულების ნუსხა)

<u>ინგლისური ენა</u>

PET- Preliminary English Test ქულა - Pass with merit
IELTS - ქულა 4.0 - 5.0
TOEIC - ქულა 275-395 (listening) და 275-380 (reading)
TOEFL (IBT) - ქულა 47-86
PTE (General) - level 2
PTE (Academic) - - ქულა 43

<u>ფრანგული ენა</u>

DELF - B1
TCF - B1

<u>გერმანული ენა</u>

Zertifikat Deutsch at the Goethe Institute
Österreichischen Sprachdiplom Deutsch
Zertifikat Deutsch –B1

B2 დონე

- შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის სინთეზი.

B2 დონის შესაბამისი საერთაშორისო გამოცდები (სერტიფიკატების და ქულების ნუსხა)

<u>ინგლისური ენა</u>
FCE - შეფასება A ან B
IELTS - ქულა 5.0 - 6.5
TOEIC - ქულა 400 - 485 (listening) და 385 - 450 (reading)
TOEFL (IBT) - ქულა 87-109
PTE (General) - level 3
PTE (Academic) - - ქულა 59

<u>ფრანგული ენა</u>
DELF - B2
TCF - B2

<u>გერმანული ენა</u>
Zertifikat Deutsch für den Beruf - B2
Goethe- Zertifikat B2
Zertifikat Deutsch
TestDaF - TDN 3 — TDN 4
DSH – B2